საზოგადოების დამოკიდებულება ოჯახში ძალადობის მიმართ საქართველოში - მიმართვიანობა და რეაგირება

ავტორი: ქეთი გოგიავა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სოციოლოგია

ხელმძღვანელი: თამარ ჩარკვიანი, სოციოლოგიის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ქეთი გოგიავა

23 ივნისი, 2016

აბსტრაქტი

ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის თემა ძალზედ აქტუალურია საქართველოში. ბოლო წლებში მომხდარმა ტრაგიკულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ სახელმწიფოს მხრიდან მყისიერი და ეფექტური მოქმედებებია საჭირო ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად. პრობლემის სრულყოფილად აღქმა და მასზე რეაგირება კი საზოგადოებას ჯანსაღად უნდა შეეძლოს. საქართველოში დამკვიდრებული სტერეოტიპები ოჯახში ძალადობის საკითხს უგულებელყოფდა და საზოგადოების დამოკიდებულებაც არარელევანტური იყო. საინტერესოა, რა გავლენას ახდენს საზოგადოებრივი აზრი და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული კამპანიები მიმართვიანობაზე და რეაგირებაზე? ნაშრომისთვის გამოყენებულია დოკუმენტების ანალიზი, ლიტერატურის დისკურს-ანალიზი და თეორიული ინტერპრეტაციის მეთოდები. არსებულმა კვლევებმა და ანგარიშებმა გვიჩვენა, რომ მოსახლეობის დამოკიდებულება შეცვლილია ოჯახში ძალადობის და ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემისადმი, რადგან მრავალმა კამპანიამ ხელოვნებისა თუ სპორტულ დარგში ცნობიერების ამაღლებაზე ეფექტურად იმუშავა, რამაც გამოიწვია პრობლემის სრულყოფილად დანახვა და პრებლემაზე რეაგირება, მისი დამალვის ნაცვლად. ცნობიერების ამაღლება, ოჯახში ძალადობის ფაქტებზე მიმართვიანობის ზრდა და შესაბამისი რეაგირება სამართლიანი და ჯანსაღი საზოგადოებისა და სახელმწიფოს მანიშნებელია.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ოჯახი, ოჯახში ძალადობა, ქალთა მიმართ ძალადობა.

Abstract

Domestic violence and violence against women are very relevant topics in Georgia. In recent years, the tragic facts have proved that the immediate and effective actions have to be taken to combat violence. The problem must be fully comprehended and responded by the society. Existing stereotypes were ignoring domestic violence in Georgia and the attitude of society was irrelevant. What is the influence of public opinion and campaigns conducted to end violence against women and domestic violence on response and referrals? There were used documents analysis, literary discourse analysis and theoretical interpretation methods. The studies and reports show that the attitude has changed to the problem of domestic violence and violence against women due to the public awareness campaign in different fields (art, sport, etc.). Afterwards it caused the healthy understanding and relevant response to the problem, instead of hiding it. It has to be mentioned that awareness raising, increased referrals and

appropriate response to domestic violence is the main designator of healthey and strong society and state.

Key words: family, domestic violence, violence against women.